ევროპასთან თავისუფალ ვაჭრობაში აგრარული სფეროს ჩართულობა

მანანა შალამბერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

INVOLVEMENT OF THE AGRICULTURAL SECTOR IN FREE TRADE WITH EUROPE

Manana Shalamberidze
Associate Professor
of Akaki Tsereteli State University

RESUME

Georgia has a long and rich tradition of agriculture. It has been developing since time immemorial and is characterized by multifaceted, unique features and characteristics. Food security of the population is one of the global problems, and its solution is the basis for the economic development of any country.

In order for Georgian agriculture to engage in free trade with Europe, it is necessary to develop effective mechanisms for agricultural management and production. For this, it is necessary to implement the basic and organizational levers that will contribute to raising the economic efficiency of production. First of all, the most important thing is to increase the production of agricultural crops to fully satisfy the needs of the country's society for food products, which is connected with great difficulties in modern conditions. For this purpose, we should implement market relations by establishing a multi-layered economy.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სფერო; თავისუფალი ვაჭრობა, პროდუქტების ბაზრი.

* * * *

აგროსასურსათო პროდუქტების სავაჭრო ბალანსში ათეული წლებია იმპორტი აჭარბებს ექსპორტს. ბოლო მონაცემებით სურსათის იმპორტის მოცულობა დაახლოებით 3-ჯერ და მეტად აღემატება სურსათის ექსპორტის მოცულობას.

საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას დიდი პერსპექტივები გააჩნია ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში განახორციელოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი. დღესდრეობით საქართველო ახორციელებს ძირითადად შემდეგი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს: ღვინო, თხილი, კაკალი, ნუში, ხილის ჩირი მოცვი, კივი, ბროწეული, კურკოვანი კულტურები, ვარდის ზეთი, სტაფილოს თესლის ზეთი, ჩაი, მწვანილი, დაფნა, მატყლი, თაფლი. მაგრამ მათი მოცულობების ზრდა ღვინისა და თხილის გარდა მიმდინარეობს დაბალი ტემპებით რასაც მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი გააჩნია. კერძოდ პროდუქტების წარმოების დაბალი მოცულობა და შესაბამისი სექტორის სუსტი კონკურენტუნარიანობა უცხოელ მწარმოებლებთან შედარებით. აღნიშნულს ადასტურებს თვითუზრუნველყოფის დაბალი კოეფიციენტებიც. კერძოდ, ბოლო წლებში თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ყველაზე დაბალი მნიშვნელობა დაფიქსირებულია ხორბლის (15%) და ხორცის (49%), ბოსტნეულის (63%), სიმინდის (68%), შემთხვევაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ევროპასთან თავისუფალ ვაჭრობაში, რომ ჩაერთოს საჭიროა შევიმუშავოთ სოფლის მეურნეობის მართვისა და წარმოების ეფექტური მექანიზმები. ამისათვის აუცილებელია ავამოქმედოთ ის ძირითადი და ორგანიზაციული ბერკეტები, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. პირველ რიგში მთავარია გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება, რომ მთლიანად იქნეს დაკმაყოფილებული ქვეყნის საზოგადოების მოთხოვნილება საკვებ პროდუქტებზე, რაც თანამედროვე პირობებში დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამ მიზნით საბაზრო ურთიერთობები უნდა განვახორციელოთ მრავალწყობიანი ეკონომიკის დამკვიდრებით, განსახელმწიფოებრიობით, დასაბუთებული და აუჩქარებელი რეფორმების გატარებით. ეს ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავისუფალი, ახალი ტიპის მეწარმის ფორმირებას, რომელიც საწარმოო საშუალებებისა და წარმოებული პროდუქციის ნამდვილი მეპატრონე იქნება და მოახდენს აგრარული წარმოების სახელმწიფო რეგულირების რთული და მრავალწახნაგოვანი სისტემის ჩამოყალიბებას მისი განხორციელება საქართველოში ძირითადად ორი მიმართულებით არის შესაძლებელი :

1. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქტების ბაზრის ფორმირება;
2. ადგილობრივ მწარმოებელთა ინტერესების დაცვა.

პირველი მიმართულება მოიცავს საბაზრო სფეროს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთაგან ცენტრალური ადგილი უკავია პროდუქციის მწარმოებლების შემოსავლებისა და მათი პროდუქციის ფასების რეგულირების პოლიტიკას. მეორე მიმართულება

ითვალისწინებს პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას სახელმწიფოს მხრიდან, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საშინაო ბაზრის დაცვა.

ჩვენი ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფოს მხარდაჭერის შემაფერხებელი ფაქტორებია ის, რომ განსაზღვრული არ არის თვითრეგულირების საბაზრო და სახელმწიფო ზემოქმედების მექანიზმების ოპტიმალური თანაფარდობა, ასევე ჩამოუყალიბებელია სახელმწიფო რეგულირების გრძელვადიანი მეცნიერული კონცეფცია. სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს აგრარულ სექტორში აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი წარმოების პრიორიტეტული მიმართულებები. როგორც აღვნიშნეთ,

აგრარული სექტორის თვისებრივი განვითარება შეუძლებელია მრავალმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების, სწორი დარგობრივი პოლიტიკის გატარების გარეშე. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთერთი უმთავრესი საკითხი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი ხელისუფლების მიდგომა.

მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა გააჩნია, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. რაც გამოიწვევს საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცეს , როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, მნიშვნელოვნად შეამცირებს სავაჭრო ბარიერებს ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს, როგორც საგარეო ვაჭრობის მომდევნო დივერსიფიცირებას და განვითარებას, ასევე ვაჭრობის შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდის შესაძლებლობას. სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტის გაზრდისა და გამრავალფეროვნებისათვის საჭიროა ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- ზოგადი ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება საქართველოს აგრო ექსპორტის მხარდასაჭერად მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, როგორიცაა ევროკავშირი;
- საქართველოს აგრარული განათლებისა და კვლევითი სიმძლავრის განახლება;
- აგრარული და საკვები პროდუქტების წარმოებაში მუსებისა და მენეჯმერების მომზადების გაუმჯობესება.

დასკვნა

ევროპასთან თავისფალ ვაჭრობაში აგრარული სფეროს ჩართულობისათვის საჭიროა შემდეგი ეკონომიკური მახასიათებლების გათვალისწინება:

- საქონლით ვაჭრობა გადასახადებისა (ტარიფების ჩათვლით) ან სხვა ბარიერების (მაგალითად კვოტები იმპორტზე) გარეშე;
- ვაჭრობა სერვისზე (მომსახურებაზე) გადასახადებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების გარეშე;
- ვაჭრობისთვის ხელისშემშლელი ისეთი პოლიტიკისა (გადასახადები, სუბსიდიები, რეგულაციები ან კანონები) არარსებობა, რომელიც კონკრეტულ კომპანიებს ან წარმოების ფაქტორებს სხვებთან მიმართებაში უპირატესობას ანიჭებს;
- თავისუფალი წვდომა ბაზრებზე;
- თავისუფალი წვდომა ბაზრის ინფორმაციაზე;
- ცალკეული კომპანიების უუნარობა დაარღვიონ ბაზრის დინამიკა;
- თავისუფალის ვაჭრობის ხელშემწყობი სავაჭრო ხელშეკრულებები.

გამოყენებული წყარო:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სურსათის ექსპორტი და იმპორტი, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato